შენ ისე
ნაადრევად
წახვედი
ცხოვრებიდან,
როგორც
ფეხბურთიდან.
მშვიდობით,
მიშა!

სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

27 აპრილი, შაბათი, 1991 წ.
№ 77 (10 490) ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუვიდოზით, ფეხბურთის დიდოსტატო!

ფეხბურთი! სპორტის № 1 სახეობა. ვინ აქცია იგი ნომერ პირველად. იქნებ, თავად ფეხბურთელებმა, მსაჯებმა, სპეციალისტებმა, ჟურნალისტებმა... ნურას უკაცრავად... გულშემატკივრებმა! მოდით, მათ მოვუსმინოთ, თავგადაკლულ „მესხისტებს“, მათ, ვისაც ღმეები უთენიათ იმის ძიებაში, გარინჩა სჯობს თუ მესხი, არის თუ არა მესხი მსოფლიოს საუკეთესო გარემარბი, არის თუ არა მასში რაიმე ზებუნებრივი, რითაც ასე ერთბაშად იპყრობს ერთხელ მნახველთა გულებს...

მოკლედ, ვერის ბაღის გულშემატკივრებო, „მესხისტებო“, თქვენზე უკეთ ვინ უნდა გვიამბოს ლეგენდები ლეგენდის შესახებ...

ვერის ბაღში მჭმუნვარე და დაფიქრებულ ადამიანებს შევხვდი. რაა გასაკვირი? — აღარ არის მიხეილ მესხი... ეს სამწერტილი არ გახლავთ ჩემი მწირი ფანტაზიის ნასიფარავი. საშუალება. უბრალოდ, ქართულ ენაში აღარ მოიპოვება ეპითეტი, მიხეილ მესხის შესამკობად რომ არ გამოეყენებინოთ. ასგზის გამეორებულის ასმეერთედ თქმას კი რა აზრი აქვს. მგლოვიარე „მესხისტებმაც“, ასე, უბრალოდ, დაიწყეს თავიანთი სათაყვანებელი კერპის მოგონება.

— ზაურ მკერვალიშვილი: შვილო, მესხისნაირი ფეხბურთელი არ მინახავს, მისდარი სიამოვნება გულშემატკივრებისთვის არავის უბოძებია. არ ვაჭარბებ — მესხი იყო ჩემთვის ფეხბურთი, ფეხბურთი — მესხი!

ამაზე უფრო უკეთესს რას მეტყვიან-მეთქი. ვიფიქრე, მაგრამ, ეტყობა, მართლაც პროფესია ყოფილა „მესხისტობა“.

მოკლედ, პოეტის თქმისა არ იყოს მოგროვდნენ გულშემატკივრები „მესხისტების“ სკამთან, სათქმელს რა გამოულევდათ, ბარე ათი გაზეთი ვერ დაიტევს მათს მონაგონსა და მონათხრობს, მაგრამ ერთი მაინც განსაკუთრებით ჩამრჩა გულში, რომენ ტოროშელიძემ რომ მიამბო. გულშემატკივრები, თურმე, ერთ მატჩზე ორ ბილეთს ყიდულობდნენ! რატომ? თავი რომ მომეკლა, ალბათ, ვერც მივხვდებოდი, თურმე ყველას იმ ტრიბუნაზე უნდოდა ჯდომა, საითაც მიხეილ მესხი დათარეშობდა, რა უნდა გექნა? — უნდა შეგეძინა ორივე ტრიბუნის ბილეთი, არადა, თუ ვინმე დაგასწრებდა, კარგად იყავი! ვინ დაგითმობდა უიშვიათესი სპექტაკლით ტკბობის შანსს?

წუთიერად კი ბაღში დუმილი დაისადგურებდა, ეს არც დაძალებული, არც გამოცხადებული დუმილის წუთი იყო — „მესხისტები“ გულის კარნახით მიაგებდნენ პატივს კერპს. სასწაულებს გაიგონებთ აქ, დამიჯერეთ, არადა, მათს უტყუარობას, აი, ამ მამაჩემის ტოლი კაცების ნაღდი, თავდაჯერებული სახეები მეტყველებს: გაოცებულმა და აღტაცებულმა ბრაზილიელმა მცველმა, სხვა რომ ვერა მოახერხა, მესხს ხელები შემოაკედო და ისე გააჩერაო. კენედიმ მიშას ხელი ჩამოართვაო; მოსკოვის „დინამოსთან“ ერთ-ერთი პრინციპული შეხვედრის წინა დღეს, წვიმამ რომ გადაიღო, ვერტმფრენებით აშრობდნენ სტადიონის მარცხენა ფრთას, ოღონდ მიშამ ითამაშოს ჩვეულად და თამაში ჩვენიაო... მოკლედ ლეგენდები, ლეგენდები და, რაც მთავარია, ჰეშმარიტებასთან წილნაყარი ლეგენდები.

ასე იწყებოდა მიშა მესხი

რომენ ტოროშელიძე: როსტოველ არმიელებთან 7:1 მოვიგეთ, მიშამ ბოლო პენალტი გაიტანა. საოცარი რა იყო, იცით?—კარგა ხანს მთელი სტადიონი მარჩიელობდა, რომელი ფეხით დაარტყა მიშამ პენალტიო. დიახ, არნახული სისწრაფით იყო შესრულებული თერმომეტმეტრიანი დარტყმა. ვერ გაარჩია ვერავინ, რომელი ფეხი შეახო მიშამ ბურთს.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კარგი, თუნდაც ექსტრაკლასის ფეხბურთელით ვერ გააკვირვებ. ბორის პაიჭაძის მერე რაღა უნდა გაუკვირდეთ? — და, მაინც უკვირდათ და უხაროდათ. იცით რა უხაროდათ? თუმცა, ჯობს სიტყვა კვლავ გულშემატკივრებს დავუთმოთ.

თემურ მაზიაშვილი: ისე, უბრალოდ ვიტყვი, მიშამ მსოფლიოს ამცნო, თუ რა არის ქართული ფეხბურთი და, საერთოდ, რომ არსებობს ასეთი რამ — ქართული ფეხბურთი, მიხეილ მესხი — ეს ქართული ფეხბურთია და პირიქით. აი, ეს გახლავთ ბატონი მიშა.

— მესხისნაირები შეუძლებელია გაზარდო, ჩამოაყალიბო. მისნაირები, უბრალოდ, საუკუნეში ერთხელ იბადებიან და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მისი თამაში ვიხილეთ, — შიმტკიცებს რომენ ტოროშელიძე.

— კაცო, ფეხბურთელი არ არსებობს, მაყურებელს ერთხელ მაინც რომ არ შეეგინებინოს მისთვის. მიშას შემგინებელი კაცი არ მახსოვს, ენა ვის მოუბრუნდებოდა მასზე აუგის სათქმელად — ნერვებს ძლივს იოკებს ზაურ მესხიშვილი.

დიახ, პელე რომ პელე იყო, მასაც უამრავი მაგინებელი გაუჩნდა 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების მარცხის შემდეგ. ამ მხრივ, მთელს მსოფლიოში, ალბათ, მხოლოდ გარინჩა იყო გამონაკლისი, ამიტომაც, უწოდეს თანამემამულეებმა „ხალხის სიხარული“, დიახ გარინჩა და... მიხეილ მესხი. იქნებ ესეც სიმბოლურია, იქნებ ეს ფაქტიც დაეხმაროს გარინჩა-მესხის შემდარებლებს თავიანთი პოზიციების დასაცავად.

ჩვენც გვყავდა ჩვენი „ხალხის სიხარული“ — მიხეილ მესხი.

თუმცა, რატომ გვყავდა? — ლეგენდები ხარ კვდებიან!

ლევან ჯავახიშვილი

ასე თამაშობდა მიშა მესხი

ჩვენთან ერთად გლოვობენ

გულწრფელად მიყვარდა, მის შესახებ წერა მუდამ სიამოვნებას მგვრიდა. ვგრძნობდი, რომ იგი არა მარტო დიდი ფეხბურთელი იყო, არამედ დიდი ადამიანიც. ჩემს თავს მის მეგობრად ვთვლიდი, თუმცა გაცილებით უფროსი ვარ. ბევრი რამ უამბია ჩემთვის — აი ის, რაც, ჩვეულებრივ, არ ჩანს ტრიბუნიდან. ასე რომ, როგორც ჟურნალისტი, დიდად დავალებული ვარ მიშასგან. მრავალი საათი გამიტარებია მასთან, რომ იტყვიან, ერთი ერთზე. თუმცა იგი სიტყვაძუნწ კაცად იყო ცნობილი, სხვათა თანდასწრებით არ უყვარდა ლაპარაკი, დამარტოხელებული კი მუდამ უხსნიდა გულს მოუბარს. მიშა მესხი იყო (რა სამწუხაროა, რომ ახლა მასზე უკვე წარსულ დროში ვწერთ) ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ფეხბურთელთაგანი, რომელიც მთელი არსებით მიყვარს.

ლევ ფილატოვი,
სპორტული ჟურნალისტი.

მიშა მესხი ძალიან უყვარდათ ერევანშიც, თუმცა თბილისელთაგან განსხვავებით წელიწადში სულ ერთხელ ხედავდნენ. იგი მუდამ გვხიბლავდა ქართული ფეხბურთის საუკეთესო თვისებებით — ვირტუოზული ტექნიკით, შეუდარებელი ტემპერამენტით, იშვიათი შემართებით. ფეხბურთმა დაგვაახლოვა — მეგობრები ვიყავით მწვანე მინდორზეც და მის გარეთაც. მიხეილ მესხის — ტყავის ბურთის ჯადოქრისა და დიდებული ადამიანის სახელი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

ერევნის „არარატის“ ვეტერანი ფეხბურთელები: სარქის ოვანესიანი, კონსტანტინ ბეგლარიანი, სერგეი ზატიკიანი, ალექსანდრ კოვალენკო, არუთიუნ კეკეიანი.

მიხეილ მესხის სიკვდილმა თავზარი დაგვცა მისი ტალანტის თაყვანისმცემლებს. ნევისპირელი ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობდნენ, აფასებდნენ და აღტაცებაში მოდიოდნენ ამ პოპულარული მარცხენა გარემარბის თამაშით.

რა დაგვავიწყებს მესხის დიდებულ „საფეხბურთო კონცერტებს...“

ლენინგრადის სპორტული გაზეთის „სპორტ, ჩელოვეკ, ვრემიას“-ს კოლექტივის სახელით
მაგდა ალექსეევა, ბორის კამენსკი, სერგეი სტრუნინი, იური ბრეჟინსკი.

თავზარი დაგვეცა

დიდი გულისტკივილით განვიცადეთ თქვენი ამბავი, ბატონო მიშა! თავზარი დაგვეცა. ქართული ფეხბურთის კორიფევ, ჩვენო სათაყვანო ადამიანო! ფეხდაფეხ დაგდევდით შინ თუ გასვლით თამაშებზე და, გვიხაროდა, რომ თქვენ ერთმდერთი იყავით, ვისაც „საკუთარი“ გულშემატკივარი ყველგან ჰყავდა — შინაც და გარეთაც. თქვენი თამაში, ხელოვნებასთან მიახლოვებული, ჩვენთვის სიამოვნება იყო. მადლობთ იმ წუთებისთვის!

კაცთმოყვარე იყავით ბუნებით და ამიტომ სტუმარიც განსაკუთრებულად გიხაროდათ. აერიამულდებოდა მთელი სახლი, თქვენი დაბადების დღეს, 12 იანვარს რომ გესტუმრებოდით ხოლმე. ახლა... იმ სითბოსთვის და სიყვარულისთვისაც უღრმესი მადლობა!

როგორ გვიყვარდი და, გვაპატიე, თუ ცოცხალს ბოლომდე ვერ გაგიმეღავნეთ ეს სიყვარული, ჩვენო უსაყვარლესო კერპო!

სულმნათი იყავ მარადის!

ეზია ვეგალიშვილი,
გულშემატკივარი.

VIII ტური

„ზურიკა“ (ლანჩხუთი) — „ცხუმი“ (ხოხუმი) 1:0 (0:0).

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„ზურიკა“: ქანთარია, ტყემალაძე, გუჯაბიძე, დანელია, კახიაშვილი, ცომაია, ჩხაიძე, მეგრელაძე, კორლალიძე, ფრიდონაშვილი (ქურაძე, კეტაშვილი), უგრელიძე.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, ჭოხონელიძე, სიჭინავა, ცაავა, გაბისკირია.

მსაჯები: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი), გ. ჯულაყიძე (სამტრედია), ა. შილაკაძე (თბილისი).

გააფრთხილეს: რ. ქურაძე და ვ. ტყემალაძე.

ეს შეტად საინტერესო მატჩი მძიმე და უშედეგოთო გამოდგა ორივე გუნდისთვის. ფეხბურთელები ლაღად, სწრაფად, აზარტულად თამაშობდნენ და დიდი სიამოვნება განაცდევინეს მაყურებელს.

მე-7 წუთზე სიჭინავას შეეძლო გოლის გატანა, შეეძლო, მაგრამ... ამის შემდეგ მოედნის ცენტრს მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ.

მე-17 წუთზე დანელია — ფრიდონაშვილის მრავალსვლიანი კომბინაცია შეგრელაძემ კინალამ გოლით დაასრულა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩიხრაძე აღმოჩნდა მეგრელაძის მდგომარეობაში, მაგრამ გოლი მანაც ვერ გაიტანა. მერე უგრელიძის უძლიერესი დარტყმა ძლივს მოიგერია ყორყოლიანმა, მეგრელაძის დარტყმული ბურთი კი კარის ზედა ძელს მოხვდა. ცომაიას და გუჯაბიძესაც ჰქონდათ არაერთი შანსი ანგარიშის გახსნისა.

„ცხუმი“ ტაიმის მიწურულს გააქტიურდა. მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯიშკარიანმა ოსტატურად გადაუგდო მას ბურთი თავზე, მაგრამ საქმეში კვლავ კარის ძელი „ჩაერია“.

მეორე ტაიმშიც „გურიის“ უპირატესობა აშკარა იყო. გუჯაბიძეს შეეძლო ცარიელ კარში გაეტანა გოლი, როცა შეცდა ყორყოლიანი, მაგრამ კვლავ სასწაულმა იხსნა სტუმართა კარი.

რამდენიმე წუთის შემდეგ უგრელიძის „მაკრატელაობით“ დარტყმული ბურთი კვლავ კარის ძელმა მოიგერია.

მატჩის ბედი გადაწყდა თამაშის 70-ე წუთზე — ტყებუჩავამ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

„ცხუმმა“ მთელი ძალები თამაშის გადასარჩენად „გადაისროლა“, ცაავას შეეძლო კიდეც ქულის გადარჩენა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი კარს.

ბოჩა ვასაძე,
„ლელოს“ კორ.

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0 (1:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„ქუთაისი“: ხელაძე, წიქარიშვილი (სუხიაშვილი), წიკვინაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, შენგელია, დვალიშვილი, ზუნდაძე, ჯანაშია, ფარახელია, ჭეიშვილი (მანაგაძე).

„კოლხეთი-1913“: მიქავა, თიბილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია (ტორჩინავა), მასარაძე, გენძებაძე (ქაჯაია), თვარაძე, ქობალია.

მსაჯები: ო. გუნთაძე, დ. მენთეშაშვილი, ზ. ლაცაბიძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: მ. ქობალია, ა. ჭეიშვილი.

გააძევეს: მ. ქობალია.

შარშანდელ ჩემპიონატში ფოთელებმა ორჯერვე დაამარცხეს „ქუთაისი“, ასე რომ, იოლად აიხსნებოდა ქუთაისელთა ამჟამინდელი მონდომება.

შეხვედრის მესამე წუთზე ჯანაშიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ შემტევისა და მეკარის „დუელში“ კარის ძელი „ჩაერია“. თუმცა ერთადერთი გოლი მაინც პირველ ტაიმში გავიდა — დარასელიამ რამდენიმე მცველს ოსტატურად აუარა გვერდი და ზუსტი გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა ხუნდაძე. ქუთაისელთა ბომბარდირის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0. პირველი ტაიმისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა, როცა მოედანზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა — 43-ე წუთზე მატჩის არბიტრმა ოთარ გუნთაძემ ჯერ დააფიქსირა ქუთაისელთა კარის აღება, შემდეგ კი შეცვალა გადაწყვეტილება და გოლი არ ჩათვალა. მაინც რა მოხდა? თოფურია საჯარიმოს ურტყამდა მარჯვენა ფლანგიდან. გვერდითმა მსაჯმა მენთეშაშვილმა მიიჩნია, რომ დარტყმის მომენტში ერთ-ერთი ფოთელი ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ალამიც ასწია. სამწუხაროდ, გუნთაძემ დროულად ვერ შენიშნა თანაშემწის ნიშანი, მისკენ მხოლოდ მაშინ მიიხედა, როცა თვარაძის გოლი უკვე ჩათვლილი ჰქონდა (თამაშის დამთავრების შემდეგ გუნთაძემ აღიარა თავისი შეცდომა). როგორც ვთქვით, არბიტრმა შეცვალა გადაწყვეტილება, ამან კი ფოთელ ფეხბურთელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი გვერდით მსაჯს მიეჭრნენ. სწორედ ამ დროს „დაიმსახურა“ ქობალიამ ჯერ ყვითელი, შემდეგ კი წითელი ბარათი. რა დასამალია და, ერთ მომენტში ფოთელებმა თამაშის გაგრძელებაზეც კი თქვეს უარი.

მეორე ტაიმში რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, სტუმართა თამაშს სიმწვავე არ მოჰკლებია — ფოთელებმა ორი საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ თვარაძემ და მახარაძემ ვერ იმარჯვეს. ქუთაისელთაგან ჭეიშვილს შეეძლო ორჯერ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მანაც ვერ გამოიყენა ხელსაყრელი სიტუაცია.

იუზა კაციტაძე,
„ლელოს“ კორ.



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:1 (0:0).

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„მარგვეთი“: დევაძე, ინაიშვილი (წოთელაშვილი), ღონღაძე, ხუჯაძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, ფოცხვერაშვილი, ავრამიდისი, ჯულელი, კიკნაძე, კერძევაძე.

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, მეკავანაძე (ხალუქვაძე), კალატოზიშვილი, ტუღუში, ჩხაიძე, კაპია, ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე (კალანდაძე), ამაშუკელი.

მსაჯები: ო. ლორთქიფანიძე (თბილისი), ო. გაგუა, დ. სანაია (ორივე — ხოხუმი).

გააფრთხილეს: მ. მეკავანაძე, ვ. ჩხაიძე.

მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა „მარგვეთის“ მხარეზე იყო, მაგრამ საგოლე მომენტები არ შექმნილა. საინტერესო გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი. 47-ე წუთზე ავრამიდისმა ჩაიწოდა მაღალი ბურთი „მერცხალის“ საჯარიმოში, იქ თავით კარგად ითამაშა ჯულელმა, მაგრამ მეკარე დუმბაძემ მოიგერია დარტყმა. 58-ე წუთზე „მერცხალის“ კარი კვლავ გადარჩა, ამჯერად კიკნაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ. 64-ე წუთზე ოზურგეთელთა საჯარიმოში მცველებმა უხეშად ითამაშეს კერძევაძის წინააღმდეგ. დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად დაარტყა კიკნაძემ. 72-ე წუთზე სტუმართა მცველებმა კვლავ აკრძალული ილეთით შეაჩერეს კერძევაძე. საჯარიმოს დარტყმა, დაახლოებით 25 მეტრიდან, ლაცაბიძეს მიანდეს და... 2:0 „მარგვეთის“ სასარგებლოდ.

სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. თამაშის 86-ე წუთზე გოლი „მარგვეთის“ კარში კალანდაძემ გაიტანა.

დავით ღამბაშიძე,
„ლელოს“ კორ.

„ივერია“ (ხაშური) — „მზიური“ (ბალი) 1:2 (0:2).

ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 24 აპრილი.

„ივერია“: ბრიაუნიხი, ჭინჭარაული, პ. ნოზაძე, ავალიანი (კვანტალიანი), ჭანგურიძე, ზარაზაშვილი, ქიმერიძე, ციხელიოვი, მჭედლიშვილი, ზღვდელაძე, რობაქიძე.

„მზიური“: გეთია, თ. ღურწკაია, ფარფალია, ჩაიკა (ქანთარია), კაკუბავა (ეთერია), ჯღარკავა, მორგოშია, ჩხეტია, პავლიჩუკი, მეტრეველი, დ. ღურწკაია.

მსაჯები: ნ. კილაძე, ე. ხილაგავა, ტ. ნიშნიანიძე (სამივე — თბილისი).

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ნებისმიერი გუნდისთვის არსებობს ეგრეთ წოდებული „უნერწყული“ მეტოქე, რომელთანაც, სათამაშო კლასით მაღლა რომც იდგეს, მაინც ვერაფერს ახერხებს ღა ხშირად მარცხდება. ხაშურის „ივერიისთვის“ ასეთი მეტოქე სწორედ „მზიურია“. ამ ორი, თითქმის თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრებში უკვე მესამე სეზონია „ივერია“ შინაც მარცხდება და სტუმრადაც. 1989 წლის სეზონიდან მოყოლებული, გალელები ზედიზედ მეხუთე მატჩში ამარცხებენ ხაშურელებს, თუმცა არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ ყველაფერს მეტოქის, ასე ვთქვათ „უნერწყლობას“ გადავაბრალებთ.

როგორც ჩანს, „მზიურმა“ კარგად შეისწავლა „ივერიის“ ტაქტიკური არსენალი და ამიტომაც უადვილდება მასთან ბრძოლა.

... შეხვედრა სამოიოდე წუთის დაწყებული იყო, როდესაც სტუმრებმა ანგარიში გახსნეს: ჩხეტია, რომელმაც მორგოშიას გადაცემა მიიღო, პირისპირ ალმოჩნდა მეკარესთან და გოლის გატანა არ გასჭირვებია. ოცი წუთის შემდეგ „მზიური“ უკვე ორი ბურთით დაწინაურდა — დაახლოებით 23 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გოლი პავლიჩუკმა გაიტანა (უნდა აღინიშნოს, რომ მინსკიდან და დონეცკიდან პავლიჩუკისა და ჩაიკას მოწვევამ გალელთა გუნდი აშკარად გააძლიერა). ტაიმის მიწურულს ივერიელებმა რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმი ხაშურელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ გალელები მარჯვედ იცავდნენ თავს. 66-ე წუთზე ისინი მაინც ვერ გადაურჩნენ გოლს, რომელიც მღვდელაძემ გაიტანა. თამაშის ბოლომდე, ივერიელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

2:1 — „მზიურმა“ სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. უშუალო კონკურენტთან მოპოვებულ ქულებს კი, მოგეხსენებათ, მართლაც ოქროს ფასი აქვს.

გოგი გოგოლაძე,
„ლელოს“ კორ.

„ხულორი“ (ვანი) — „დილა“ (გორი) 2:1 (1:0).

ვანი. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„ხულორი“: კიკალეიშვილი, ძაგნიძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი (არველაძე), გიზო ბრეგვაძე, ორმოცაძე, პაიკიძე, ბუიშვილი, ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

„დილა“: ჭანტურია, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, ანიაშვილი, პაპიძე, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარღიშვილი, ჩორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: რ. ტალიაშვილი, დ. თოდუა (ორივე — თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

გორის „დილა“ ვანელი ფეხბურთელებისთვის საკმაოდ სერიოზული გამომცდელი იყო. თამაშიც ერთობ უშედეგოთო გახლდათ, ტემპი წუთითაც არ შენელებულა და გულშემატკივარმაც მეტად საინტერესო შეხვედრა იხილა.

მატჩი, რომ იტყვიან, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა. ოცი წუთის შემდეგ კი ვანელთა აქტიურობა უფრო საგრძნობი იყო. ახალგაზრდა მეკარე ჭანტურიამ არაერთხელ იხსნა კარი პაიკიძის, ჯიმშერ ვერულაშვილის და გოჩა ბრეგვაძის ზუსტი დარტყმების შემდეგ. თამაშის ამ მონაკვეთში მარღიშვილმა ერთი, მეტად ეფექტური კონტრშეტევა განახორციელა: მოატყუა მასპინძელთა ორი მცველი, კარშიც სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. 37-ე წუთზე ჯიმშერ ვერულაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო პაიკიძემ და თავური დარტყმით გაიტანა გოლი. 1:0 — ასე წავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

51-ე წუთზე გორელთა თავდამსხმელმა ნეფარიძემ, რომელმაც ჩინებულად ითამაშა ამ დღეს, კარგად ისარგებლა მასპინძელთა მცველების უხეში შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლს ვანელთა მძაფრი შეტევები მოჰყვა, დიდი ჯაფა ადგა მეკარე ჭანტურიას, რომელიც ზშირად ერთვებოდა თამაშში.

შეხვედრის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, როდესაც გოჩა ბრეგვაძემ ბურთი გადააწოდა სტუმართა საჯარიმოში თავისუფალ მდგომარეობაში მყოფ ხურცილავას, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

მურთაზ პირველაშვილი,
„ლელოს“ კორ.

„ალაზანი“ (ბურჯაანი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:0 (1:0).

გურჯაანი. „ალაზნის“ სტადიონი. 24 აპრილი.

„ალაზანი“: ჭუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, სპანდერაშვილი, ძნელაძე, სანადირაძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოდაშვილი (პოზოიანი), თეთრაული, კობახიძე.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, გოგოლაძე, ხურცილავა, ფეტვენიძე, იობიძე, ცნობილაძე (სიჭინავა), ჭელიძე, ჭყონია, ბაბუნიძე, ხარაბაძე.

მსაჯები: ვ. შელია (გაგრა), გ. ხეჩუაშვილი, შ. ბერიძე (ორივე — თბილისი).

თავიდანვე ვიტყვით: „ალაზნის“ სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა ერთობ საინტერესო და გაჯერებული თამაში იხილა.

მასპინძლებმა პირველივე წუთიდან ხელი იგდეს ინიციატივა და თამაშის ბოლომდე არ დაუთმიათ. უკვე მე-6 წუთზე სოლოდაშვილმა ზუსტი პასი მიაწოდა ზაალიშვილს, რომელიც მეკარე მიქაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და ანგარიში გახსნა. გაშვებული ბურთის შემდეგ სტუმრები თითქოს გამოცოცხლდნენ და თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო. პირველი ტაიმის დასასრულს სტუმრებმა კინაღამ ერთობ კეთილოზული გოლი გაიტანეს... საკუთარ კარში. „სამგურალის“ მეკარის მიერ დარტყმული ბურთი თავის საჯარიმოში მოხვდა მცველს და, რომ არა მისივე თავგანწირული თამაში, ანგარიში, ალბათ, ორამდე გაიზრდებოდა.

მაგრამ მეორე ტაიმში „სამგურალმა“ მაინც გაიტანა „ავტოგოლი“ — 52-ე წუთზე კევლიშვილმა წამოიწყო კომბინაცია, ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა და... სტუმართა მცველმა ანგარიში ორამდე გაზარდა. გურჯაანელებს გამარჯვება უკვე ხელთ ჰქონდათ, მაგრამ მაინც სახიფათოდ უტევდნენ. წყალტუბოელთა კარის აღება შეეძლოთ ზაალიშვილს, სოლოდაშვილს, თეთრაულს, მაგრამ ბოლო მომენტში უზუსტოდ თამაშობდნენ. 67-ე წუთზე ზაალიშვილის წინააღმდეგ თავიანთ საჯარიმოში უხეშად ითამაშეს „სამგურალის“ მცველებმა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც უნაკლოდ შეასრულა „დაზარალებულმა“ — 3:0.

ვალერი ლარიბაშვილი,
„ლელოს“ კორ.

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 7:1 (3:1).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 24 აპრილი.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიავშვილი, ტარტარაშვილი, მეფთეშაშვილი, ნადარეიშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე (ყულიაშვილი), შალამბერიძე, ყიფიანი, ჭობელაშვილი, მინაშვილი (ზეიკიძე).

„სანავარდო“: გამყრელიძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავითაშვილი, ლეკვეიშვილი, ბუბაძე, ლორთკიფანიძე, ვ. ბერეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ო. ბრეგვაძე (ნიკაძე).

მსაჯები: ბ. კობალაშვილი (ლეონიძე), ი. მექერიშვილი (გურჯაანი), ლ. რაზმაძე (ბორი).

ამ შეხვედრას, ერთგვარად, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა — ჩემპიონატი ორივე გუნდმა არასახარბიელოდ დაიწყო, ორივე სახიფათო ზონაში იმყოფება.

...ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა. საჯარიმო დარტყმა საკმაოდ შორი მანძილიდან ძლიერად და ზუსტად შეასრულა თბილისელმა ბაკურაძემ. სულ ერთი წუთი დასჭირდა შალამბერიძეს მეორედ რომ შეერხია სტუმართა კარის ბადე. სამწუხაროდ, ამით არ დამთავრებულა: ათი წუთის შემდეგ კოპალეიშვილმა აიძულა „სანავარდოს“ მეკარე მესამე ბურთი გამოეტანა კარიდან. მხოლოდ ამის შემდეგ გაიტაიურდნენ სამტრედიელები და 21-ე წუთზე ბ. ბრეგვაძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მოიგერია „შევარდენის“ მეკარე გვენცაძემ, მაგრამ აქ ყველას დაასწრო დურმიშხან თვალაბეიშვილმა და პრესტიჟის გოლი გაიტანა — 1:3.

მეორე ტაიმში თბილისელთა იერიშები უფრო გამწვავდა და სტუმართა კარში... კიდევ ოთხი ბურთი აღმოჩნდა. 56-ე წუთზე ბაკურაძემ მოატყუა „სანავარდოს“ სამმა მცველი და მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. იმავე ბაკურაძისა და მინაშვილის კომბინაცია 64-ე წუთზე მეხუთე გოლით დაგვირგვინდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ შალამბერიძის მიერ 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა, მომართულება შეიცვალა და მეკარის ზურგისგან ასხლტილი კარში აღმოჩნდა. ბოლო ბურთი უკანასკნელ წუთზე კოპალეიშვილმა გაიტანა — 7:1.

რამინ უურაშვილი

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0

გალი. ცენტრალური სტადიონი. 24 აპრილი.

„ამირანი“: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, ღურწკაია, გომონოვი, ქობალია (გუჩუა), გაბისონია, პაპასკირი.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, გვახარია, კაციტაძე, შურდაია, ლატარია, კალუცა (ბოსტანჯიანი), ბაკურაძე (მამფორია), რუხაძე, გოგაძე, პამუშინი, ჭიჭინაძე.

მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), დ. რეზვიაშვილი (გარდაბანი).

გააფრთხილეს: ი. გოგაძე

გააძევეს: რ. ბოსტანჯიანი, თ. ჭიჭინაძე, ზ. ღურწკაია.

მატჩი დასაწყისიდანვე თითქმის თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. მე-20 წუთზე კაციტაძის მიერ ახლო მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ერთ-ერთმა მცველმა კუთხურზე მოიგერია. მალე ბაკურაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ უზუსტოდ ითამაშა. გომონოვის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთიც ძელმა აისხლიტა.

შეხვედრის მეორე ნახევარი დიდად არ განსხვავდებოდა პირველისგან, ოღონდ იყო ერთი სხვაობა — მატჩს მეტი ნერვიულობა დაეტყო, რადგან, ჯერ მსაჯთან შეკამათებისთვის ბოსტანჯიანი გააძევეს მინდვრიდან, შემდეგ კი ჭიჭინაძე და ღურწკაია ერთმანეთთან კინკლაობისთვის წითელი ბარათით დაისაჯნენ.

0:0 — ასეთი იყო ამ დრამატული მატჩის შედეგი.

დაზმირ ბელენავა,
„ლელოს“ კორ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	8	6	2	0	17-4	20
„გურია“ (ლანჩხუთი)	8	5	2	1	7-4	17
„ბათუმი“ (ბათუმი)	8	4	2	2	10-7	14
„ოდიში“ (ზუგდიდი)	8	4	1	3	14-5	13
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	6	4	0	2	7-6	12
„ალაზანი“ (გურჯაანი)	8	4	0	4	10-11	12
„კოლხეთი“ (ხობი)	8	3	2	3	10-5	11
„ცხუმი“ (ხოხუმი)	8	3	2	3	9-9	11
„სამგურალი“ (წყალტუბო)	8	3	2	3	6-7	11
„გორდა“ (რუსთავი)	7	3	1	3	9-6	10
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	7	3	1	3	9-8	10
„დილა“ (გორი)	8	3	1	4	12-13	10
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	8	3	1	4	9-10	10
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	8	3	1	4	9-12	10
„ხულორი“ (ვანი)	7	2	3	2	8-9	9
„მზიური“ (გალი)	8	2	2	4	5-11	8
„სანავარდო“ (სამტრედია)	8	2	2	4	7-17	8
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	8	2	1	5	14-13	7
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	7	2	1	4	9-14	7
„ივერია“ (ხაშური)	8	2	1	5	4-14	7

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:0 (1:0).

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 25 აპრილი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, ჯამარაული (რევიშვილი), ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, შონია (გოგოხია), მალანია, კვარაცხელია (ტიბუა), ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, დ. ხანია (სამივე — სოხუმი).

ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაგლიამ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებისას განაცხადა, რომ მისი გუნდი ამჯერად ლიდერობისთვის იბრძოლებდა. „ოდიშმა“ მართლაც ისე განვლო პირველი რამდენიმე ტური, სატურნირო ცხრილში მუდამ ლიდერთა შორის იყო. თუმცა დრო სწრაფმავალია და არც ისე დიდი ხანი დასჭირდა „იბერიას“ საიმისოდ, თვითონ რომ მოქცეულიყო ცხრილის სათავეში. მოკლედ, ამ დღეს გულშემატკივრებმა ორი ისეთი გუნდი იხილა მოედანზე, რომლებიც თამამად აცხადებენ პრეტენზიას მეორე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერობაზე.

თამაშიც, ცხადია, სწრაფ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, რომელნიც შორი თუ ახლო პანძილიდან დარტყმებით ცდილობდნენ სტუმართა კარის დალაშქრას, მაგრამ ჯიშკარიანის, იხალიშვილის, ცხადაძისა და შელიას იერიშებს ჭანტურიას ოსტატობა დაუპირისპირდა.

„ოდიშმა“ თამაში ძირითადად კონტრშეტევებზე ააგო და, უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში ბევრს ვერაფერს მიაღწია, რადგან ზუგდიდელთა იერიშებს საჯარიმოს მისადგომებთანვე უვნებელყოფდა „იბერიის“ დაცვა.

თამაშის მე-15 წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე ბურთი ხელზე მოხვდა „ოდიშის“ ერთერთ ფეხბურთელს და მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომელიც უნაკლოდ შესრულა გოგიჩაიშვილმა. იგი ამ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო თბილისელთა შორის. სტუმართაგან კი ქეცბას იმსახურებს მეკარე ჭანტურია — რომ არა მისი თავგანწირული თამაში, ანგარიშში სხვაობა ალბათ, გაცილებით დიდი იქნებოდა.

მეორე ტაიმში ზუგდიდელები უკეთ ათამაშდნენ, მათი შეტევები უფრო საინტერესო, გააზრებული გახდა, მაგრამ ვერც ბიგვავამ და ვერც მისმა თანაგუნდელებმა — ყიზილაშვილმა, თევზაძემ, ტიბუამ ვერ მოახერხეს მეკარე ნიკა ჩხეიძის კარის აღება.

თბილისელთა შეტევები კი გრძელდებოდა. ბურთი რამდენჯერმე ძელსაც მოხვდა, ხშირად მასპინძლები საჭირო სიზუსტესაც ვერ იჩენდნენ და უამრავი ხელსაყრელი მომენტი „გაფუჭეს“.

მიუხედავად სწრაფი ტემპისა და ორმხრივი შეტევებისა, პირველ ტაიმში პენალტით გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

ინგა ჩახვაშვილი

„იბერია“ — „ოდიში“ ა. კოტორაშვილის ფოტო.

„გორდა“ (რუსთავი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 0:1 (0:0)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 24 აპრილი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (მეტრეველი).

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მალხაზ მახარაძე, შანიძე, უჯმაჯურიძე (ნახუაშვილი), ტულუში, კიურჯიევი (ღლონტი).

მსაჯები: მ. ჭელიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), ნ. ჩარდავა (გულრიფში).

თამაშის პირველი ოცი წუთი ისე გავიდა, არც ერთ კართან რეალური საფრთხე არ შექმნილა. მასპინძლებმა ვერაფრით შეძლეს ბათუმელთა კარის მიმართულებით დარტყმა. თავის მხრივ, სტუმრები თავგანწირვით იცავდნენ საკუთარი საჯარიმოს მისადგომებს. 21-ე წუთზე ფანცულაიამ შვიდი მეტრიდან დარტყმული ბურთი ააცილა ბათუმელთა კარს. რამდენიმე წუთის შემდეგ მისივე დარტყმა მეკარე ბალაძემ მოიგერია. მალე კვლავ ფანცულაიას მიერ შორი მანძილიდან დარტყმულმა ბურთმა „შეაზანზარა“ ბათუმელთა კარი. რაც შეეხება სტუმრებს, ისინი მეტი მონდომებით თამაშობდნენ, თუმცა ტაიმის დასასრული კვლავ გორდელების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის „ანგარიშში გამოხატვა“.

მეორე ტაიმის 50-ე წუთზე ბათუმელებმა მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს: მჭედლიშვილ-ტულუშის „დუეტი“ ამ უკანასკნელის მიერ ოცი მეტრიდან ლამაზად და ოსტატურად შესრულებული დარტყმით დასრულდა. ამ ბურთის გაქვითვა „გორდას“ ფეხბურთელებს ერთი წუთის შემდეგაც შეეძლოთ — ბათუმელთა კარში მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, მაგრამ ფანცულაიას მიერ დარტყმული ბურთი ბალაძემ მოიგერია.

მიუხედავად არაერთი ცდისა, „გორდამ“ თამაში ვეღარ გადაარჩინა.

რაჟდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს“ კორ.

გამოტოვებული მატჩები

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში 8 და 27 მაისს გაიმართება გამოტოვებული მატჩები. 8 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „გორდა“ (რუსთავი), „ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). 27 მაისს ითამაშებენ: „სულორი“ (ვანი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ვერა ჩასლავსკა წლების განმავლობაში ფანტასტიკურად პოპულარული იყო სპორტულ სამყაროში. მას „ღვთაებრივს“ უწოდებდნენ, ზოგი „მექსიკურ ნიავს“ ეძახდა. ყოფილა კი ვინმე მასზე უფრო სახელგანთქმული სპორტული ტანვარჯიშის მთელი ისტორიის მანძილზე? ბევრის აზრით, არა. ჩეხოსლოვაკიელი ქალი კარგა ხანს თავს ბედნიერად გრძნობდა, ყველას უყვარდა, საჩუქრებს საჩუქრებზე იღებდა, შემდეგ კი...

ვერა ჩასლავსკამ ვარჯიში 10 წლისამ დაიწყო, 1952 წელს. 1958-68 წლებში პირდაპირ გასაოცარ წარმატებას მიაღწია. თავად განსაჯეთ: იყო ორგზის აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონი (1964 და 1968 წლებში); ფლობდა თერთმეტ ოლიმპიურ მედალს, მათ შორის შვიდ ოქროსას: 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ორჯერ — 1965 და 1967 წლებში, ევროპისა. სულ 35 მედალი მიიღო, აქედან 22 ოქროსი — მსოფლიო და ევროპული მასშტაბის შეჯიბრებებში.

1968 წელს ვერას ჯვრისწერა მეხიკოს ოლიმპიურ სოფელში ჩეხოსლოვაკიელ მორბენალ, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან იოკეფ ოტლოჟილთან მთელმა სპორტულმა სამყარომ აღნიშნა. თებერვლის თვე მათ იტალიაში, კაპრზე გაატარეს, რა იცოდნენ, რა საშინელი წლები ელოდათ.

● გვითხარით, როდის დაგიდგათ ეს პერიოდი?

— ეჰ, გრძელი ისტორიაა. 1968 წელს, მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ, ბევრ გამოჩენილ პიროვნებასთან ერთად ხელი მოვაწერე მანიფესტს, რომელიც „2000 სიტყვის“ სახელით გახდა ცნობილი — ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგ გამოვთქვით პროტესტი. ჩვენი წამებაც მაშინ დაიწყო... ჩემს მეუღლეს, სამხედრო პირს, დაატოვებინეს სამსახური. ყველგან გამათავისუფლეს, სადაც კი ვმუშაობდი. უფრო მეტიც — რამდენიმე პროფესორს რომ არ გამოედო თავი, ინსტიტუტიდანაც მრიცხავდნენ. ცდილობდნენ, როგორმე ვეიძულებინე, უარი მეთქვა ხელმოწერაზე. მეფერებოდნენ კიდეც, ერთ მილიონიან კონტრაქტს მპირდებოდნენ იაპონელებთან და ამერიკელებთან, შორს დავიჭირე. რას ჰქვია ხელმოწერაზე უარის თქმა-მეთქი, როცა მანიფესტის ყველა პუნქტს ვეთანხმებოდი.

● ძნელი იყო ახე მოქცევა?

— ყველაზე ძალიან 1970 წელს გამიჭირდა. ქუჩაში ნაცნობები რომ შემამჩნევდნენ, მეორე მხარეს გადადიოდნენ, ჩემთან შეხვედრა არ უნდოდათ. ამისაც კი ძალიან ეშინოდათ.

● ხომ არ გიფიქრიათ ჩეხოსლოვაკიის დატოვება?

— ამაზე მართლაც ბევრს ვფიქრობდი. მაგრამ, რა ვქნა, ვერსად წავედი. ეს ხომ ჩემი მშობლების, ჩემი შვილების, ჩემი ქვეყანაა.

● არ გეშინოდათ, უკიდურესად რომ გავჭირვებოდათ?

— რამდენჯერმე სასოწარკვეთაშიც კი ჩავვარდი. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევაც: 1971 წლის 7 იანვარს, ჩემი კლუბის „რუდა გვეზდას“ ხელმძღვანელობამ გამომიძახა. გამეხარდა, ვიფიქრე, რაიმე სამუშაოს შემომთავაზებენ-მეთქი, დიდი იმედით შევაღე კარები. „გამარჯობათ!“ პასუხი არავინ გამცა. კლუბის პრეზიდენტმა წაიკითხა კრების დღის წესრიგი: „ვერა ჩასლავსკას კლუბ „რუდა გვეზდას“ წევრების რიგებიდან გარიცხვა“. ამ წინადადებას 25-მა ადამიანმა ხელი მოაწერეს. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ერთხმად გამრიცხეს ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეთა კავშირიდანაც.

● როგორ დამთავრდა ეს დევნა?

— მივწერე წერილი კომპარტიის გენერალურ მდივანს გუსტავ ჰუსაკს, შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტი რომ გახდა, შემატყობინა, ადექი და შენს სპორტულ ცხოვრებაზე წიგნი დაწერეო. დავწერე 80 გვერდი, გული ვერ დავუდე, და მივატოვე. ბოლოს ჰუსაკმა მიმიღო. სად მუშაობო, მკითხა. არსად-მეთქი, ვუპასუხე. როგორც იქნა, ნება დამრთეს, სპორტსაზოგადოება „სპარტაში“ მწვრთნელად დამეწყო მუშაობა.

● მექსიკაში რომ გაემგზავრეთ?

— 1979 წელს რესპუბლიკის პრეზიდენტმა პორტლიომ ოფიციალურად შემომთავაზა ამ ქვეყნის ნაკრებს ჩავდგომოდი სათაეში, ჩვენმა კომპარტიამ ასე იფიქრა: მექსიკაში მყოფი ნაკლებად საშიში ვიქნებოდი, ვიდრე პრაღაში. ორი წელი ვიმუშავე იქ და უკან დავბრუნდი. სანამ საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი, ძმაც მომიკვდა, მამაც და დედაც.

● იაპონელები თქვენ პირდაპირ გალმერქთებენ, მექსიკელებსაც ყოველთვის ახსოვხართ: ეს პოპულარობა ოლიმპიურმა მედლებმა მოგიტანათ?

— დიახ, მე მადლიერი ვარ ოლიმპიური მოძრაობის. 1983 წელს ჩეხოსლოვაკიაში სამარანჩი ჩამოვიდა და განაცხადა, რომ მე უნიკალური სპორტსმენი ვიყავი, სამაგალითო არა მარტო ჩეხოსლოვაკიელებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ამ განცხადებას იმ პირობებში ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთხანს ჩრდილოეთ მორავიის ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობდი ქმრით და ოთხი შვილით.

● ახლა სად მსახურობთ?

— რესპუბლიკის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მრჩეველი ვარ.

● დიდი ხანია იცნობთ ჰაველს?

— პირველად 1986 წელს ვნახე, ერთ პატარა სტუდენტურ თეატრში. იქ ჰაველი „ჰამლეტს“ დგამდა, ბრწყინვალედ განახორციელა.

● რა შემოგთავაზათ მან?

— სპორტის მინისტრის თანამდებობა, ელჩობა იაპონიაში; შემეძლო პრაღის ქალაქის თავადაც წამომეყენებინა ჩემი კანდიდატურა. ყველაფერზე უარი განვაცხადე.

● იაპონია?

— 1964 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იაპონიაში ძალიან პოპულარული გავხდი. მე იქ მალე გავემგზავრები. პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ჩვენი მხრისათვის სასარგებლო ხელშეკრულებების გაფორმებას შევძლებ.

ვერა ჩასლავსკა — პრეზიდენტის მრჩეველი

● თქვენი ახლანდელი თანამდებობის პოზიციებიდან თუ განსჯით, სპორტს შეუძლია დიდი ამოცანების გადაწყვეტა?

— დიახ, იგი გვერდში უდგას ინდუსტრიას, ეკონომიკას, სწავლა-განათლებას, ჯანმრთელობას, საგარეო ურთიერთობების საკითხებს.

● ახლაც გიყვართ სპორტი?

— იგი ჩემი ცხოვრებაა. მე ახლაც ვმუშაობ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად. ეს არის ჩემი მოწოდებაც და პროფესიაც. ამ სამუშაოს კვირაში სამ დღეს ვანდომებ.

● თქვენ ახლა უამრავი საქმე გაქვთ...

— აი, ნახეთ: ეს გახლავთ შიდსის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის საბუთები. ეს ტელექსია დალაი ლამასაგან — მას უნდა ჩვენთან ჩამოსვლა, მაგრამ ჩინეთმა უკვე განაცხადა პროტესტი. ამ დოსიეში კი ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების მასალებია.

ასეთია ახლა „ღვთაებრივი“ ვერა ჩასლავსკა, პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მრჩეველი, ახალგაზრდა სპორტსმენთა მწვრთნელი და ტანვარჯიშის თაყვანისმცემლების კერპი.

მოამზადა გივი თორელმა.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის 1991 წლის მე-16 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.136.732 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცანია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (24) მოგება 4.356 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (336) — 1.244.

საქართველოში: დაშვებულია 57.450 ვარიანტი. 13—0, 12—1, 11—22.

მე-16 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 11 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

ტურნირები და შედეგები

● მონტე-კარლო. ჩოგბურთელთა აქ მომდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალის მონაწილენი დაწყვილდნენ ასე: ანდრეი ჩერკასოვი (სსრკ) — ბორის ბეკერი (გერმანია), კარლ-უვე შტეები (გერმანია) — გორან პრიჰიჩი (იუგოსლავია), იონას სვენსონი (შვეიცია) — ჰორსტ სკოფი (ავსტრია), სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვეიცია). ტურნირს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ უძლიერესთა ათეულის წევრები: სტეფან ედბერგი (შვეიცია), ანდრე აგასი (აშშ), გი ფორჯე (საფრანგეთი) და გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია).

● ტურკუ. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე 5 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: სსრკ — 10 ქულა, შვეიცია და კანადა — 8-8, ფინეთი და აშშ — 5-5, ჩეხოსლოვაკია — 4, შვეიცარია და გერმანია — 0-0.

● რომი. ველოსიპედისტთა ტრადიციულ შეჯიბრებაზე (განთავისუფლების პრიზი) 121-კილომეტრიანი დისტანცია იტალიელმა ანდრეა სოლანიამ მოიგო — 2:57.47.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა ქართული ფეხბურთის დიდოსტატი

მიხეილ მესხი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: ჭ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008 თბილისი, ჭ. კოტეტიშვილის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლელო“ ტფილისი, 380008, თბილისი, ჭ. კოტეტიშვილის, 14. ofseturi ბეჭდვა „ოფსეტური წიგნი“, საგაზეთო კორპუსში, სამარიანოვის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოსამიურებლად და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20